პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი, ____ მაისი, 2024 წელი

ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ.N10ზ-ში; ბაღის ქ.N10დ-ში; ბაღის ქუჩაზე; ბაღის ქ.N10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.34.25.745; N22.21.01.050; 05.34.25.768; 05.34.25.619) და საზოგადოებრივი სივრცეზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ.N10ზ-ში; ბაღის ქ.N10დ-ში; ბაღის ქუჩაზე; ბაღის ქ.N10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.34.25.745; N22.21.01.050; N05.34.25.768; N05.34.25.619) და საზოგადოებრივი სივრცეზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $к^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ. N10ზ-ში; ბაღის ქ. N10დ-ში; ბაღის ქუჩაზე; ბაღის ქ. N10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.34.25.745; N22.21.01.050; 05.34.25.768; 05.34.25.619 და საზოგადოებრივი სივრცე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ. N10ზ-ში; ბაღის ქ. N10დ-ში; ბაღის ქუჩაზე; ბაღის ქ. N10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.34.25.745; N22.21.01.050; 05.34.25.768; 05.34.25.619 და საზოგადოებრივი სივრცე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციიის დამტკიცება.

შპს ,,ქეიპ 23’’-ს (445705390) მიერ წარმოდგენილია განცხადება ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ. N10ზ-ში; ბაღის ქ. N10დ-ში; ბაღის ქუჩაზე; ბაღის ქ. N10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.34.25.745; N22.21.01.050; 05.34.25.768; 05.34.25.619 და საზოგადოებრივი სივრცე მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე. დაგეგმილია სასტუმროს მშენებლობა. საპროექტო ობიექტის სართულიანობა შეადგენს 16 სართულს. სამშენებლო ზონაში დადგენილია სიმაღლის შეზღუდვა, საპროექტო ობიექტის სიმაღლის გადამეტება ხდება 55 მეტრამდე. აღნიშნულის საკომპენსაციოდ განმცხადებელი იღებს ვალდებულებას მაკომპენსირებელი ღონისძიების შერჩეული სახე გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას.

წარმოდგენილი კონცეფცია გადაგზავნილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მოსაზრებისათვის, სამინისტროს 2024 წლის 27 მაისის N 01-01-10/4340 წერილით სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა კონცეფციის დამტკიცება და გაუწია დადებითი რეკომენდაცია.

პროექტის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, გათვალისწინებულია დახურულ მიწისქვეშა სივრცეში 58 ერთეული ,,მექანიზირებული“ ავტოსადგომის მოწყობა, მიწისზევით დახურულ, შენობის მე-2 დონეზე მოეწყობა 29 ავტოსადგომი, ხოლო მიწისზედა ღია სივრცეში განთავსდება 9 ერთეული ავტომობილი. სულ ჯამში საპარკინგე ადგილების რაოდენობა შეადგენს 96 ერთეულს, რაც სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

განკარგულების მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ. N10ზ-ში; ბაღის ქ. N10დ-ში; ბაღის ქუჩაზე; ბაღის ქ. N10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.34.25.745; N22.21.01.050; 05.34.25.768; 05.34.25.619 და საზოგადოებრივი სივრცე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციიის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**